სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 4 21 0000822923

26/08/2021

სსიპ –საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების, მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021 - 2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადებით (დანართი 1) უნდა მიმართონ შესაბამის ფაკულტეტს 2021 წლის 16 სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ–კვირის გარდა);
2. სტუდენტთა შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ს საქმის წარმოების დეპარტამენტის უფროსს ხ.სოსელიას;

4. სტუ–ის ფაკულტეტის მიერ ,,სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ“ დასკვნების მომზადება (დანართი 2) და სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 3) სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2021 წლის 28 სექტემბრისა;
5. 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სტუ–ტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2021 წლის 30 სექტემბრისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვიცე–რექტორი
კლიმიაშვილი ლევან